საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 231 2017 წლის 4 მაისი ქ. თბილისი

„ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/01/2014, 300160070.10.003.017678) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 18[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შიდა და გარე პერიმეტრებზე დასამონტაჟებელი ვიდეოკამერების ზუსტ რაოდენობასა და მათ ურთიერთგანლაგებას განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის (დეპარტამენტის) (შემდგომში – ერთობლივი ოპერაციების ცენტრი) უფლებამოსილი თანამდებობის პირი. აღნიშნული მიზნით, ამ

მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ერთობლივი ოპერაციების ცენტრს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ერთობლივი ოპერაციების ცენტრის მიერ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის შედგენის შემთხვევაში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**